

საქართველოს კანონი

პონტოს მუხის აღკვეთილის შექმნისა და მართვის შესახებ

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს ძირითად სამართლებრივ ურთიერთობებს პონტოს მუხის (*Quercus pontica*) აღკვეთილის შექმნის, მართვის, დაცვისა და გამოყენების სფეროში.
2. პონტოს მუხის აღკვეთილს მიკუთვნებული მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების განკარგვასთან, დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 2. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. კანონის ძირითადი მიზნებია:

- ა) უზრუნველყოს პონტოს მუხის აღკვეთილის შექმნა;
- ბ) მოაწესრიგოს პონტოს მუხის აღკვეთილის დაცვისა და გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი.

2. ამ კანონის ძირითადი ამოცანებია პონტოს მუხის აღკვეთილის ფარგლებში:

- ა) უზრუნველყოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში პონტოს მუხის დამახასიათებელი ბუნებრივი ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების, ბიოტოპებისა და მათი ცალკეული კომპონენტების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს დაცვა, აღდგენა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება;

- ბ) ხელი შეუწყოს ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფას;

- გ) უზრუნველყოს მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და ამ რესურსებით რაციონალური სარგებლობა; ეკოლოგიური განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება; ბუნებრივი ბიოეკოლოგიური რეჟიმის დაცვა და მონიტორინგის განხორციელება;

- დ) ხელი შეუწყოს ბუნებრივ და ადამიანის მიერ სახეცვლილ გარემოში რეკრეაციის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების ჩამოყალიბებას.

მუხლი 3. პონტოს მუხის აღკვეთილის მდებარეობა, ფართობი და საზღვრები

1. პონტოს მუხის აღკვეთილი საქართველოს დაცული ტერიტორიის სისტემის ნაწილია. ის იქმნება ამ კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში.

2. პონტოს მუხის აღკვეთილი იქმნება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ ტერიტორიაზე. ეს ტერიტორია წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს გურიის რეგიონალური სამმართველოს ჩოხატაურის სატყეო უბანს. ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 541 ჰექტარს და მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

ID	X	Y	ID	X	Y	ID	X	Y	ID	X	Y
1	282049	4641545	47	279353	4641257	93	282944	4641265	139	281226	4640953
2	282170	4641422	48	279343	4641082	94	282879	4641177	140	281312	4641023
3	282238	4641299	49	279344	4640907	95	282776	4641139	141	281320	4641003
4	282217	4641143	50	279208	4640821	96	282699	4641059	142	281241	4640927
5	282156	4640989	51	279059	4640907	97	282613	4640990	143	281309	4640932
6	282039	4640912	52	278899	4640967	98	282587	4640916	144	281390	4640998
7	281921	4640804	53	278758	4641049	99	282489	4640864	145	281478	4641039
8	281952	4640843	54	278627	4640966	100	282439	4640773	146	281586	4641021
9	281971	4640997	55	278553	4641123	101	282372	4640686	147	281693	4641049
10	282096	4641105	56	278570	4641291	102	282286	4640616	148	281654	4641016
11	282035	4641259	57	278685	4641419	103	282230	4640522	149	281549	4640984
12	281952	4641341	58	278800	4641532	104	282179	4640424	150	281572	4640948
13	281998	4641178	59	278935	4641634	105	282139	4640321	151	281680	4640968
14	281862	4641077	60	278997	4641498	106	282089	4640223	152	281762	4640933
15	281787	4640983	61	279104	4641627	107	282007	4640148	153	281855	4640988
16	281651	4640986	62	279222	4641672	108	281917	4640084	154	281887	4641090
17	281624	4640988	63	279182	4641540	109	281835	4640083	155	281985	4641141
18	281743	4641085	64	279304	4641653	110	281726	4640099	156	282002	4641227
19	281577	4641052	65	279437	4641754	111	281629	4640051	157	281973	4641334
20	281412	4641054	66	279568	4641867	112	281544	4639981	158	282017	4641259

ID	X	Y	ID	X	Y	ID	X	Y	ID	X	Y
21	281288	4640936	67	279738	4641906	113	281448	4639927	159	282073	4641163
22	281345	4641013	68	279890	4641990	114	281355	4639869	160	282030	4641083
23	281305	4641058	69	280050	4642052	115	281271	4639797	161	281959	4641010
24	281178	4640940	70	280195	4642150	116	281185	4639727	162	281977	4640902
25	281148	4640771	71	280252	4642279	117	281092	4639667	163	281897	4640829
26	281107	4640702	72	280208	4642446	118	280985	4639651	164	281876	4640759
27	281026	4640725	73	280124	4642592	119	280892	4639600	165	281972	4640805
28	281068	4640583	74	280145	4642757	120	280787	4639567	166	282055	4640874
29	281058	4640431	75	280220	4642905	121	280729	4639628	167	282068	4640968
30	281008	4640313	76	280273	4642993	122	280735	4639737	168	282178	4640980
31	280944	4640151	77	280386	4642864	123	280822	4639802	169	282222	4641076
32	280810	4640104	78	280534	4642771	124	280912	4639865	170	282255	4641180
33	280686	4640121	79	280699	4642722	125	280995	4639937	171	282248	4641283
34	280645	4640288	80	280839	4642620	126	281070	4640018	172	282290	4641368
35	280578	4640443	81	280926	4642471	127	281107	4640120	173	282400	4641381
36	280644	4640601	82	281063	4642364	128	281108	4640231	174	282507	4641409
37	280604	4640770	83	281222	4642296	129	281041	4640271	175	282615	4641435
38	280497	4640909	84	281351	4642179	130	281080	4640343	176	282721	4641466
39	280385	4641038	85	281485	4642075	131	281084	4640426	177	282830	4641483
40	280271	4641158	86	281654	4642027	132	281102	4640526	178	282941	4641481
41	280186	4641307	87	281812	4641951	133	281062	4640612	179	283044	4641443
42	280096	4641446	88	281928	4641837	134	281036	4640712	180	283132	4641380
43	279970	4641494	89	282024	4641697	135	281089	4640692			
44	279799	4641466	90	282049	4641545	136	281153	4640646			
45	279624	4641454	91	283132	4641380	137	281160	4640753			
46	279466	4641384	92	283040	4641321	138	281167	4640863			

მუხლი 4. პონტოს მუხის აღკვეთილის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი

1. ამ კანონით განსაზღვრულ პონტოს მუხის აღკვეთილის ტერიტორიებზე დაშვებული საქმიანობა, მათი დაცვისა და გამოყენების რეჟიმი (მათ შორის აღკვეთილის ტერიტორიაზე ტერიტორიულ-ფუნქციური ორგანიზება - ზონირება) განისაზღვრება ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და პონტოს მუხის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმის შესაბამისად.

2. პონტოს მუხის აღკვეთილის ფარგლებში მიკუთვნებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები გასხვისებას არ ექვემდებარება.

მუხლი 5. პონტოს მუხის აღკვეთილის მართვა

ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ტერიტორიის მართვა ხორციელდება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 6. ქონებრივი ურთიერთობები, სასარგებლო წიაღისეულითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული ურთიერთობები პონტოს მუხის აღკვეთილის ტერიტორიაზე

ეს კანონი არ ვრცელდება ამავე კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ:

ა) ქონებრივ ურთიერთობებზე (მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვის, უზუფრუქტის, აღნაგობის, ქირავნობის, გაცვლის, გაჩუქების, მემკვიდრეობით გადაცემის, იპოთეკისა და იჯარით გაცემის შემთხვევაში არსებულ ურთიერთობათა ჩათვლით);

ბ) სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე;

გ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებებითან/და გაცემული ლიცენზიებით განსაზღვრულ ურთიერთობებზე.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე “პონტოს მუხის აღკვეთილის შესახებ”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

კანონპროექტის მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე გავრცელებულია საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა პონტოს მუხა (*Quercus pontica*). წარსულში აღნიშნულ ტერიტორიას მინიჭებული ჰქონდა დაცული ტერიტორიის სტატუსი. კერძოდ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 29 იანვრის #80 დადგენილებით ჩოხატაურის სატყეო მეურნეობის მჟავე წყლის სატყეოს პონტოს მუხის ნაკვეთის 1400 ჰა ფართობი მიკუთვნებული იყო ნაკრძალის კატეგორიაზე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 8 ივლისის #555 დადგენილებით აღნიშნული ტერიტორია (მჟავე წყლის სატყეოს კვარტლები #14, 16-20, 22, 24-26 ფართობით 1444 ჰა) მიკუთვნებული იქნა ძვირფასი ტყის მასივების კატეგორიაზე რელიქტური პონტოს მუხის დაცვის მიზნით. 2003 წლიდან, ტყის კატეგორიების საქართველოს ტყის კოდექსთან (1999 წელი) შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ამ კატეგორიის ტყეები მიკუთვნებული იქნა ნიადაგდაცვითი წყალმარეგულირებელი ტყეების კატეგორიის განსაკუთრებული დაცვითი მნიშვნელობის მქონე ტყის უბნებზე (ტყის უბნები რელიქტური, ენდემური და ძვირფასი მერქნიანი სახეობების გაბატონებით).

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან რეკომენდირებულია, რომ მოცემულ ტერიტორიაზე აღდგეს პონტოს მუხის დაცული ტერიტორია აღკვეთილის სტატუსით.

ა.ა) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის ძირითადი მიზანია პონტოს მუხის აღკვეთილის შექმნასა და შესაბამისად, ამ ტერიტორიის დაცვის რეჟიმთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი დარეგულირება. ამასთან, პონტოს მუხის აღკვეთილის შექმნის გზით, კანონპროექტი მიზნად ისახავს აღნიშნული დაცული ტერიტორიის ფარგლებში:

- უზრუნველყოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების, ბიოტოპებისა და მათი ცალკეული კომპონენტების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს დაცვა, აღდგენა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება;
- ხელი შეუწყოს ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფას;
- უზრუნველყოს მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და ამ რესურსებით რაციონალური სარგებლობა; ეკოლოგიური განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება; ბუნებრივი ბიოეკოლოგიური რეჟიმის დაცვა და მონიტორინგის განხორციელება;

- ხელი შეუწყოს ბუნებრივ და ადამიანის მიერ სახეცვლილ გარემოში რეკრეაციის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების ჩამოყალიბებას.

ა.ბ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი შედგება 7 მუხლისგან, რომლებშიაც თანამიმდევრულად არის ინტეგრირებული ზოგადი, ძირითადი, გარდამავალი და დასკვნითი დებულებები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას დაცული ტერიტორიის ადმინისტრირებისათვის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან. კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან. კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის ავტორი:

დ.ა) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის შესაძლო ტექსტის ავტორია ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის პროგრამ ოფისი.